ცნობის ფურცელი

№ 2483 შაბათი, 1 მაისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2483

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც ჟურნალ-გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს 1 მაისამდე გამოგზავნოს უეჭველად ხვედრი შემოსატანი, რომ გამოცემათა გზავნა არ მოესპოთ.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1 მაისიდან წლის დამლევამდე სურათებიანი დამატებით ღირს 4 მან. 50 კ.

კვირას, 2 მაისს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში დილის 11 საათზე

ეგნატე ნინოშვილის (ინგოროყვას)

გარდაცვალებიდან ათის წლის თავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი. (2—1)

აზნაური **მიხეილ დავითის ძე მაჭავარიანი** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თვისი უსაყვარლესის მეუღლის

ევა სიმონ აბაშიძის ასულისას,

რომლის გასვენება დანიშნულია 4 მაისს, სამშაბათს, დილის 10 საათზე **სოფ. არგვეთს** (შორაპნის მაზრა), არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიაზე. (1—ნქ.—1)

ელენე გრიგოლის ასული მომცელიძისა შვილებით, სამსონ სიმონის ძე მომცელიძე ცოლით და ბარბარე იოსების ასული კონიევისა შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოდ გარდაცვალებას, პირველნი დაუვიწყარის ქმრისა და მამისა, მეორენი ძვირფასის ძმისა და მაზლისა, ხოლო მესამენი —სიძის

ტარასი სიმონის ძის მომცელიძისას,

რომელიც გარდაიცვალა ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ 30-ს აპრილს. პანაშვიდი დღეს, დილით 12 საათსა და საღამოს 7 საათზე.

გამოსვენება კვირას, 2 მაისს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში დილით 10 საათზე (ელისაბედის ქუჩა, მილოვის სახ. № 5.). (1—1)

ფოთის საქალებო სამ-კლასიან პროგიმნაზიაში

მისაღები გამოცდა დანიშნულია მაისის 19—25 რიცხვებში. თხოვნასთან უნდა იქნეს მეტრიკული მოწმობა დაბადებისა და მონათვლისა. (ნ. 10—1)

ს. მ. ველლერი

გოლოვინის პრ. № 43, ცირკის პირდაპირ.

1-ლ მაისიდან ავადმყოფთა მიღების დრო იცვლება:

მიიღებს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2-მდე და 4-დან საღამოს 7-მდე. **კბილის წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნურ კბილების ჩაყენება.** ყოველ ავადმყოფს განსაკუთრებული დრო დაენიშნება. (3—185—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11 ს.—12-მდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. გ. მალალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათამდე.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ.. ოთხშაბ. და პარასკ. 11—12. საათ.

არ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ზეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ვ. მ. ჩანსვეტოვ.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საშვებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

დ. მ. ზონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ა. გ. მალალაშვილი.—შინაგ., ბავშვ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

გორის მაზრის თავად-აზნაურთა ქალთა კომიტეტი, კნ. ა. ა. ამილახორის თავმჯდომარეობით, ქ. გორში ჰმართავს კვირას, 2 მაისს, შორეულ-აღმოსავლეთში მებრძოლ, ავადმყოფ-დაჭრილთა შემწეობის აღმოჩენის აზრით, ლიტერატურულ-დრამატიულ საღამოს საკონცერტო განყოფილებით:

1) ლექცია გენერალ-მაიორის პოტტოსი;

2) „მე მახსოვს მშვენიერი წუთი“ გოდ. 1 მოქ. კ. პ. ლარინისა;

3) „ნიშნობა კატორგის ნავთ-სადგურზე“. გოდ. 1 მოქ. ვ. რ. შჩუროვისა.

4) საკონცერტო განყოფილება.

დაწვრილებით აფიშებში. დასაწყისი 8 საათზე. (3—3). გამგე კნ. ა. ა. ამილახორისა.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—2 საათ საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

(კანისა და ვენერიული)

დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—80)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიმარმაკლიძისა.

ბავშვების ექიმი

ა. ი. ბალარჯიშვილი

მიიღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 10—12 ს. მიხეილის პროსპექტი ს. № 115 ნემცების კირკის გვერდზე. (30—178—3)

ქუთაისში

კბილის ექიმი

დავით ს. რიჟინაშვილი

იღებს დილით 9—2 საათ. საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. (30—2538—1)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 აპრილი

პეტერბურგი. გენერალ ხარკევიჩის დეპეშა მთავარ შტაბს: „26 აპრილს დაიანხეს მარჯვენა ტოტს ცეზიხოსთან გამოჩნდა იაპონიის მოწინავე ჯარი. მტრის თვალსაჩინო რაზმს ჯერ კიდევ უჭირავს ლუანმიასი, რომელიც მდებარეობს დაიანხეს მარცხენა ნაპირზე, დაგუშანიდან ჩრდილოეთით თხუთმეტ ვერსის მანძილზე. იაპონელების მეორე რაზმი, რომელიც ერთის ბატალიონისა და ნახევარ ესკადრონისაგან შესდგება, 8 ვერსის მანძილზეა დაგუშანის ჩრდილოეთით. მიღებულ ცნობებით, იაპონიის რაზმი, რომელიც 10,000 კაცისა და 50 ზარბაზნისაგან შესდგებოდა, 27 აპრილს სალიძაიპუძეში იყო, დაიანხეს მარცხენა ნაპირას, დაგუშანის ჩრდილოეთით 30 ვერსზე. 28 აპრილს ეს რაზმი სიუიანისკენ წავიდა“.

გენერალ ფლუგის დეპეშა სამხედრო მინისტრს 28 აპრილს: „27 აპრილს ფინხუანჩენიდან მიღებულ ცნობებით, იაპონიის ერთი დივიზია, უთუოდ გვარდიისა, ხაიჩენის გზას დაადგა. ერთი დივიზია 40 ზარბაზნითა და 1500 ცხენოსნით ფინხუანჩენიდან სამაძისკენ უნდა წასულიყო. კუანდიანსიანში ჯერ-ჯერობით აღმოჩნდა მოწინავე რაზმი—ერთი ბატალიონი ქვეითა ჯარისა და სამი ესკადრონი სამთო ბატარეითურთ. როგორც 24 აპრილის თარიღით გვატყობინებენ, ფინხუანჩენს მახლობლად მყოფი ჯარი ორ რაზმს შეადგენდა: პირველი რაზმი ფინხუანჩენიდან ერთი დღის სავალზე იყო სამხრეთ-დასავლეთით, მეორე—დაიანხეს ბოლოში. ეს მეორე რაზმი იმავე დღეს შეუდგა მდინარეზე გადასვლას. ნამდვილი ცნობები არა გვაქვს იმ ჯარის რაოდენობის შესახებ, რომელიც ბიძივოსთან გადავიდა ნაპირზე. ტერმინალის კონცხის ჩრდილოეთით შეუმჩნევიათ იაპონიის 30 ტრანსპორტი. სხვაგან ცვლილება არ მომხდარა“.

გენერალ ხარკევიჩის დეპეშა მთავარშტაბს 28 აპრილს: „21 აპრილს ზღვაში ბიძივოსა და ტერმინალის (კონეჩნი) კონცხს შუა, გამოჩნდა იაპონიის 60-მდე ტრანსპორტი და სამხედრო გემი. მტრის განზრახვისა და იმის ჯარის რაოდენობის გამოსარკვევად გაიგზავნენ ჯარის-კაცნი, ხოლო პულანდიანიდან—პატარა რაზმი ქვეითა ჯარისა. მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ იაპონელებს ჯარი გადაუსხამთ სიაოხოუკაუზეიძის კონცხის მიდამოებში, მდინარე ჯახეხეს შესართავის სამხრეთით, და კინჩანის ბუხტაში, კონცხის სამხრეთით, მდინარე ჩენეუხეს შესართავთან. მზვერავებმა გამოარკვიეს აგრეთვე, რომ ამ ადგილებში იაპონელთა ჯარი ყოფილა, სულ ათი-ათასი კაცი. ბიძივოდან რუსი მცხოვრებნი წავიდნენ. ჩვენმა პატარა რაზმმა მინდობილი საქმე გააკეთა და 28 აპრილს, საღამოხანს, უკან დაბრუნდა, მაგრამ გზაზე დაპხვდა უფრო ძლიერი მტერი, რომელმაც მეორე გზაზე გადასულს ჩვენ რაზმს რვა ვერსის მანძილზე სდია. ჩვენ რაზმს დაუჭრეს ერთი სალდათი და მოუკლეს სამი ცხენი. 22 აპრილს, საღამოს, იაპონელებმა გაგზავნეს ორი პოლკი ტანზიაფანისაკენ, ბიძივოდან დასავლეთით 15 ვერსის მანძილზე. აქედან გზა მიდის სადგურ პულანდიაში. გაგზავნეს კიდევ ორი რაზმი ბიძივოდან სამხრეთით და დასავლეთით. 23 აპრილს, დილის 8 საათზე, იაპონელთა მზვერავები უკვე პულანდიანთან გაჩნდნენ, რკინის გზის სადგურის ახლო, ადამსის ყურესთან. შემდეგ ამ ადგილს მოადგა იაპონელთა ქვეითა ჯარის ერთი ნაწილი, რომელმაც სროლა აუტეხა ამ დროს პორტ-არტურიდან მომავალ საფოსტო მატარებელს. 24 აპრილისათვის იაპონელებმა დასტოვეს ეს ადგილები, რადგან ციკლონი (გრიგალი) დაიწყო და შიშობდნენ, მთავარ ჯარს არ მოვწყდეთო. 25 აპრილს ჩვენმა ცხენოსანთა რაზმმა დაზვერა ადგილები სანშილიპუსაკენ, პულანდიანის სამხრეთით, და ვაფანდიანისაკენ, რისთვისაც ერთ დღეში 85 ვერსი გაიარა. რკინის გზა ჯერ მტერს არ ჩაუგდია ხელთ. იაპონელთა $1^{1}/_{2}$ თუ 3 როტამ წინა ღამეს დაისვენა რკინის გზის ლიანდაგის აღმოსავლეთ მხარეზე და დილას სამხრეთ დასავლეთისაკენ წავიდა. ბიძივოდან ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ, 10 ვერსის მანძილზე, ჩვენი რაზმი მიუახლოვდა ჯერაც დაუმთავრებელს ციხეს, რომელიც იაპონელთა ერთ როტას უჭირავს. ასტყდა სროლა, რომლის დროსაც დაგვიჭრეს ერთი დარაჯი და მოგვიკლეს ერთი ცხენი. ჩინელთა ცნობით, ნაპირზე გადმოვიდა სულ 20 ათასამდე იაპონელი სამინდვრო და სამთო არტილერიით. თვით ბიძივო უჭირავს 1500 იაპონელს. 26 აპრილს იაპონელთა რაზმმა, ოთხ თუ ხუთ როტისაგან შემდგარმა, განდევნა ჩვენი სადარაჯო რაზმები სოფელ შიხეის მიდამოებიდან, პულანდიანის სადგურის სამხრეთით, 10 ვერსის მანძილზე. ამასთანავე ოთხი დარაჯი დაგვიჭრეს. 27 აპრილს იაპონელებმა დასტოვეს რკინის გზის ლიანდაგი. მაშინ ამურის რკინის გზის მე-4 ბატალიონის პოდპოლკოვნიკმა სპირიდონომა თავის ბატალიონით აღადგინა რკინის გზის მიმოსვლა პორტ-არტურთან. 26 და 27 აპრილს იაპონელთა მოწინავე რაზმებმა დაიჭირეს სოფელი მუძიატუნი, პულანდიანიდან 11 თუ 12 ვერსის მანძილზე სამხრეთ-აღმოსავლეთით, და სოფელი სიადიატინი პულანდიანიდან 12 ვერსის მანძილზე. იაპონელთა სხვა მოწინავე რაზმები დგანან ბიძივოს დასავლეთით 10 ვერსის მანძილზე. მტრის ცხენოსანთა ერთი რაზმი ვაფანდიანს მიუახლოვდა, მაგრამ შეხვდა ჩვენ სადარაჯო რაზმს და უკანვე დაბრუნდა. სოფელი ტანციაფანი, ბიძივოდან დასავლეთით 15 ვერსის მანძილზე, იაპონელთა რაზმს დაუჭერია. ამ რაზმს შეადგენენ ქვეითა ჯარის, ცხენოსანთა ჯარისა და არტილერიის ნაწილები , სულ 1000 კაცამდე. მტერმა ზარბაზნები დაუშინა ჩვენს სადარაჯო რაზმს, რომელიც 27 აპრილს ბიძივოს მიუახლოვდა 5 ვერსზე“.

მუკდენი (საკუთ. კორესპ.). 26 აპრილს გამოგზავნილ ცნობით, იაპონელთა 4 თუ 5 როტა ისევ მიუახლოვდა რკინის გზას პულანდიანის ჩრდილოეთით; შეტაკება ჰქონდა ჩვენ საზღვრის დარაჯებთან: მოგვიკლეს 4 სალდათი და დაგვიჭრეს 8. ცნობები გვაქვს, რომ 10 ათას კაცისაგან შემდგარი იაპონელთა ჯარი 50 ზარბაზნით სალიძაპუზეში იყო, სოანიდან ერთი დღის სავალ მანძილზე. მეორე დიდი ჯარი მდინარე დაიანხეს ბოლოდან მოდის. იაპონელები აშენებენ სიმაგრეებს ბიძივოდან ჩრდილოეთ დასავლეთით და ძინჯოუსკენ მიდიან. ჩვენის კავალერიის რაზმები თვალ-ყურს ადევნებენ მტერს.

სეული („რეიტ. სააგ.“). უკანასკნელ ოფიციალურ ცნობის თანახმად, ჯარი, რომელმაც იერიში მიიტანა ანჯიუზე, შემდგარი იყო მსწრაფ-მავალ კოლონის ნაწილისაგან; ამ კოლონას-კი შეადგენდა 600 იმიერ-ბაიკალისა და 100 უსურიის ყაზახი. ჯარი ლიაოიანიდან მოვიდა, დღეში 25 მილს გადიოდა.

ნიუ-იორკი. იაპონიის სესხზე ჰარბად მოაწერეს ხელი და დაჰფარეს იგი.

მუკდენი, 29 აპრილი. „ყალბია უცხოელ გაზეთების ცნობები იმის შესახებ, რომ ინკოუ მიტოვებულია, რკინის გზის რუსი დარაჯები წაიყვანეს და მათ მაგიერ ჩინელები დააყენესო. გენერალ-მაიორი ფლუგი“.

ვაშინგტონი. ამერიკელ აფიცრებს სურთ, რომ გამოძიება მოახდინონ სეულში რუსეთის ელჩის პავლოვის მოხსენების გამო, რომელშიაც მოთხრობილი იყო, თუ როგორ მო-

ექცა გემ „ვიქსბურგის“ უფროსი ჩემულპოს ბრძოლაში დაჭრილ რუსებს.

ტოკიო („რეიტ. სააგ.“). რუსებისაგან ქალაქ ანჯუზე მიტანილი იერიში მთელი დღე გაგრძელდა. 27 აპრილს ნაშუადღევის პირველ საათზე პენიანიდან მოვიდა მაშველი ჯარი; რუსებმა უკან დაიწიეს 28 აპრილს დილას, მას შემდეგ რაც კასანიდან ახალი მაშველი ჯარი მოვიდა. იაპონელების ზარალი: 4 კაცი მოკლული და 6 დაჭრილი.

ჩიფუ („რეიტ. სააგ.“). ნიუ-ჩუანიდან მოსული მეზღვარი აფიცრები ამბობენ: 28 აპრილს, ღამე, პორტ-არტურის სიახლოვეს რომ გავიარეთ, სიმაგრეების და ნავთსადგურში მყოფ გემების პროჟექტორების შუქი დავინახეთ. იაპონიის ფლოტი არა სჩანდა. ნიუ-ჩუანში და იმის მახლობლად ათას კაცისაგან შემდგარი რუსის ჯარი სდგას. ყველა მძიმე ზარბაზანი წაიღეს ლიაოიანში. იუანშიკაის სამხედრო მრჩეველი პოლკოვნიკი მუნტე ნიუ-ჩუანშია; მზად არის ჩაიბაროს ქალაქი რუსებისაგან, რომელნიც იქ ჩინეთის ჯარის მოსვლამდის დარჩებიან ყაჩაღების მოსაგერებლად. ნიუ-ჩუანის მცხოვრებელნი ირწმუნებიან, რუსების ჯარი ძალიან კარგად გვეპყრობოდაო.

სეული („რეიტ. სააგ.“). ანჯუს დაცვის დროს იაპონელთა მეცხოვნე რაზმს სროლა არ აუტეხია, სანამ ყაზახებმა იერიშით ქალაქის აღება არ მოინდომეს. როცა იაპონელებმა სროლა ასტეხეს, ყაზახებმა დაიწიეს დასავლეთ მთებისაკენ, იონპიუნთან, ამ პროვინციის უმთავრეს ქალაქთან. იაპონელები კვალ-და-კვალ მისდევენ რუსებს. მოელიან ბრძოლას. ფიქრობენ, რომ ეს ყაზახები ნაწილია იმ ჯარისა, რომელიც იალუზე გადავიდა ჩენშანთან, დაიჭირა ჩინჯინი და ჯერ არ იცის იალუზე რუსის დამარცხების ამბავი. ეს ყაზახები ასრულებენ მიღებულ ბრძანებას, რომლის თანახმად მტრის ჯარებს შორის მისვლა-მოსვლა უნდა დაებრკოლონ.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბრძანა, გამორიცხულ იქნან ფლოტის გემთა სიებიდან საესკადრო ჯავშნიანი გემი „პეტროპავლოვსკი“ და ნაღმიანი გემი „სტრაშნი“, რომელნიც პორტ-არტურთან დაიღუპნენ.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. კრონშტადტის ნავთ-სადგურის უფროსს ბრძანება გაუცია: ჯავშნიან გემების „სისოი ველიკი“-სა, „ნავარინ“-ისა და 1-ლ რანგის კრეისერის „ადმირალ ნახიმოვ“-ის უფროსებმა თავიანთი გემები შეაიარაღონ და შორეულ-აღმოსავლეთში წასასვლელად მოამზადონო. („რ. ლ.“).

ბალტიის ქარხანაშ ჯავშნიან გემ „სუვოროვ“-ის აშენება დაასრულა; ამ გემის შეიარაღებასა და მოწყობასაც მალე დაამთავრებენო. „სუვოროვ“-ი ბალტიის ესკადრაში ჩაირიცხება და შორეულ-აღმოსავლეთს გაიგზავნება. („რ. ლ.“).

რუსის ჯარში ბრძოლის ველზე ბევრი უცხოელი კორესპონდენტი მისულა. ნამესტნიკს გენ.-ად. ალექსეევს განკარგულება მოუხდენია, მეტს ნუღარავის მისცემთ მოსვლის ნებასაო. („ბ. ვ.“).

რუსეთი ცდილობს, რომ მომავალ აგვისტოსათვის მანჯურიაში 700 ათასი ჯარისკაცი შეჰყაროს. („რ. ლ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: რუსებმა წინადვე იცოდნენ, რომ იაპონელები გზას შეუკრავდნენ პორტ-არტურს და ხმელეთიდან ალყას შემოარტყამდნენ. ერთს რუსის წარჩინებულ მოხელეს ეთქვა ლონდონში, რაკი პორტ-არტურს ხმელეთიდან ალყას შემოარტყამენ, არა მგონია, რუსებმა ბალტიის ესკადრა შორეულ-აღმოსავლეთს გაგზავნონო. ეს იქიდანაც სჩანს, რომ რუსეთმა ქვა-ნახშირის ვაჭრებთან დაწერილი პირობა მოშალა. ინგლისის პოლიტიკოსთა წრეებს ძლიერ გაუხარდათ ეს ამბავი, რადგან საფრანგეთთან უსიამოვნება აღარ მოუვათ, თორემ ბალტიის ესკადრა ქვა-ნახშირს, ალბად, საფრანგეთის ნავთ-სადგურებიდან წაიღებდაო. („ბ. ვ.“).

იოკოჰამიდან დეპეშით ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: იაპონელებმა ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულის ყელი დაიჭირეს და პორტ-არტურსა და დალნის გზა მოუჭრესო. („რ. ს.“).

ჩიფუდან „დეილი ქრონიკლ“-ს ატყობინებენ: პორტ-არტურში ამ ჟამად 8 ათასი სული საკლავი საქონელი ჰყავთო. ამათგან 3 ათასი სული უკანასკნელ ორის კვირის განმავლობაში ხარბინიდან მორეკესო. („რ. ვ.“).

იაპონელებმა ელიოტის კუნძულებიდან ბიძივომდე ზღვის ძირზე ტელეგრაფის კაბელი გამართეს. („ნ.“).

ფრანგულ გაზეთ „ეკო დე პარი“-ს კორესპონდენტი იუწყება: გენერალ-კუროპატკინს იმედი აქვს, მანჯურიაში სამხედრო მოქმედებას ამ წლის გასვლამდე გავათავებ და შემდეგ კორეიაში წავიყვან ჯარსაო. („რ. ლ.“).

გერმანელ მეცნიერს და აღმოსავლეთ აზიის დიდ მცოდნეს რიხტგოფენს ბერლინში ლექცია წაუკითხავს რუსეთ-იაპონიის ომზე. ლექტორს, სხვათა შორის, უთქვამს, ფინხუანჩენს მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვსო. ამ ქალაქში ხუთი დიდი გზა იყრება ერთად. ფინხუანჩენის დაჭერა დიდს სტრატეგიულს უპირატესობას მისცემს იაპონიის ჯარსაო. („რ. ვ.“).

გერმანულ გაზ. „ნორდდაუჩე ცაიტუნგ“-ის ცნობილი სამხედრო თანამშრომელი გადაჭრით სწერს, შეუძლებელია, რომ გენ. ზასულიჩი მდ. იალუზე იაპონელებს გენ. კუროპატკინის ბრძანებით შეჰბრძოლებოდესო. ეტყობა, იაპონელებს რუსებისათვის ორადგილას შემოუვლიათ წრე: რუსის მარჯვენა ფრთას გვარდიის დივიზია შემოერტა რიგოლივით, მარცხენა ფრთას—მე-12 დივიზია. მე-12 დივიზია მდ. აიხეში გავიდა და რუსის მარცხენა ფრთას მედგრად დაეცა. იაპონელების არტილერია მეტად კარგი გამოდგა. ყველაზე მეტი სამსახური იაპონელებს გაუბიცებმა გაუწიეს. რუსის გენერალ დრაგომიროვის სკოლის აზრით, შტიკს დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იალუზე მომხდარმა ბრძოლამ დაამტკიცა, რომ ეს აზრი შემცდარი ყოფილა. თუმცა ტიურენჩენთან რუსის ჯარი შტიკსა ხმარობდა, მაინც დამარცხებული გამოვიდა და უკან დაიხიაო. („რ. ვ.“).

„სტანდარდ“-ი იუწყება: იალუზე იაპონელებმა 1000—2000 რუსი დაატყვევესო. ტყვეები მეტ ნაწილად არტილერისტები არიან. რუსების სიმამაცემ მეტად გააკვირვა იაპონელებიო.

„დეილი ექსპრეს“-ი სწერს: ტიურენჩენთან დატყვევებულმა რუსის აფიცრებმა სთქვეს, იაპონელები მეტად მოულოდნელად, მეტად მედგრად დაგვეცნენო. ჩვენ არას დროს არ მოველოდით, რომ იაპონელები კიულენჩენის სიმაგრის აღებას მოახერხებდნენ, ან მდ. აიხეში (იალუს ტოტში) გამოსვლას გაჰბედავდნენო. (აიხეს ფონის პირდაპირ რუსებს ბატარეია ედგათ).

„სტანდარდ“-ის საგანგებო კორესპონდენტი იუწყება ბრძოლის ველიდან: რუსის შავ მუნდირებს იაპონელები შორიდანვე ლამაზად არჩევდნენ და რუსეთის ჯარის ყოველ მოძრაობას კარგად ჰხედავდნენო.

შანჰაიდან ატყობინებენ „დეილი ტელეგრაფ“-ს: იაპონელები მდ. იალუზე წინადვე შედგენილ პლანის თანახმად მოიქცნენ. ტიურენჩენის პოზიციაც ამ პლანის თანახმად დაიჭირეს. იაპონიის არტილერიამ ძლიერ აჯობა რუსის არტილერიას; ამას გარდა იაპონელმა აფიცრებმა ეს ადგილები ჯერ კიდევ ჩინეთთან ომის დროს შეისწავლეს დაწვრილებით. ყველა ამ გარემოებამ ხელი შეუწყო იაპონელებს და ტიურენჩენის აღება გაუადვილა. რუსის არტილერიაც ძალიან კარგია, მაგრამ მეტად სუმბუქია. რუსის არტილერისტები 8 ათასის იარდის მანძილზე ისროდნენ ზარბაზნებს, მაგრამ ცუდად უმიზნებდნენო. („პ. ვ.“).

თავადი მეშჩერსკი იუწყება „გრაჟდანინ“-ში: რუსეთის „წითელ ჯვრის“ ქარავანი, მდ. იალუზე გასაგზავნად დამზადებული, ჩინელებმა სულერთიანად დასწვესო. („რ. ლ.“).

„მატენ“-ის კორესპონდენტი იუწყება ხარბინიდან: ხარბინში მეტად გაძვირდა სანოვაგეო. მართალია ეხლა ბევრი საკლავი მორეკეს აქა, მაგრამ ხორცის ფასმა მაინც ერთი-ორად აიწია. ციციკარში 1 კვერცხი—7 კაპ. ღირს, ხარბინში—8 კაპ. ყველაფერი მამა-სისხლად იყიდება. ერთ ადგილას ვისაუზმე და აი რა დამიჯდა: 2 შემწვარი კვერცხი—1 მ., ნაჭერი ვეჩინა—75 კაპ., ჭიქა ჩაი—20 კაპ.; სულ 1 მან. 95 კაპ. ჩაის მაგივრად რომ ერთი ბოთლი ლუდი მომეთხოვა, მაშინ ერთი მანეთი მეტი უნდა მიმეცა. ერთ ბოთლ კავკასიურ ღვინოში 2 მ. 50 კ. ართმევენ მუშტარს. („რ. ვ.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება სეულიდან: კორეის იმპერატორმა იაპონიის ელჩს გაიაშის იაპონიის ჯარის იალუზე გადასვლა მოულოცა და კორეის ჯარს უბრძანა, პაკ-ჩიონს (ანჩჟუს ახლოს, ჩრდილოეთ-დასავლეთ კორეიაში) წადითო. კორეის სამხედრო მინისტრმა წარსულ ხუთშაბათს დიდი ნადიმი გაუმართა იაპონელ აფიცრებს. იაპონელებმა სამაგიერო ნადიმი მეორე დღეს, პარასკევს, გადაიხადეს. („რ. ლ.“).

იაპონელებმა იჩეუში (მდ. იალუზე) ტოკიოს ბანკის განყოფილება გახსნეს. („რ. ვ.“).

ინგლისური გაზეთები იუწყებიან: იაპონიის სამხედრო სესხის მეორე ნაწილის განაღდებას საფრანგეთის ფინანსისტთა წრე ჰკისრულობსო. ამ ცნობამ მეტად გააკვირვა პარიზის პოლიტიკოსთა წრეები. ჰფიქრობენ, საფრანგეთის სამინისტრო ძალას დაატანს ფრანგ ფინანსისტებს, რომ საფრანგეთის მოკავშირე რუსეთის მტერს იაპონიას ფული არ ასესხონო. („ბ. ვ.“).

ამერიკის ელჩმა კონგერმა ტოკიოდან დეპეშით შეატყობინა თავის მთავრობას, ჩინეთის მთავრობა ხელ-ახლად დაგვპირდა, ნეიტრალიტეტს არ დავარღვევო, მაგრამ გენ. მას ამ უკანასკნელ დროს კიდევ გაუგზავნეს ჯარი და ამ ჟამად ჩინელ გენერალს 50 ათასი საუკეთესო, გაწვრთნილი ჯარისკაცი ეყოლებაო. ვაშინგტონში ჰფიქრობენ, როცა იაპონიის გამარჯვებული არმია ლიაოხეს ველში გაჩნდება, იქმნება ჩინეთის ჯარი მაშინ-კი საშიში გახდეს რუსეთისათვისაო. („ბ. ვ.“).

წერილი ადმირალ ტოგოსთან. „ნოვი კრაი“ იუწყება: „პორტ-არტურის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსმა გენ.-ლეიტ. სტესელს ასეთი წერილი წარუდგინა. წერილი გერმანულ ენაზეა დაწერილი.

ფელეტონი

ინტელიგენცია

(დასასრული *)

ჩვენს—ქართველ—მოსწავლე ახალგაზდობას ერთი საზოგადო თვისება ეტყობა, რომლის მსგავსი სხვა ხალხებში არსად შემიმჩნევია. ეს არის ჩვენს სტუდენტობაში შეთვისებული და გავრცელებული შემეცნება, რომ ყოველი კერძო და საზოგადო დაწესებულება, თითოეული კერძო პირი და მთელი საზოგადოება ვალდებულია მათ დაეხმაროს, ხელმოკლეობაში შეეწიოს დადაწყებული სწავლა-განათლება დაასრულებინოს. იშვიათი სტუდენტი თაკილობს კერძო პირებსა თუ დაწესებულებს მიჰმართოს და ნივთიერი დახმარება სთხოვოს. თვით მოსწავლე ემუდარება თავის ნაცნობებს, მის სასარგებლოდ წარმოდგენები მოაწყონ, ლატარია გამართონ, ვინმე მდიდარ კაცისგან დანიშნული სტიპენდია მოუპოვონ ან კარდაკარ იარონ და ფული მოუგროვონ. თვე არ გაივლის ისე, რომ ქართულ გაზეთში ამა თუ იმ სტუდენტის წერილი არ დაიბეჭდოს, რომელშიაც ავტორი მადლობას უცხადებს—თავის ნაცნობებს შემოწირულებათა შეგროვებაზე შრომის გაწევისათვის, ხოლო შემომწირველთ—იმისთვის, რომ მათ „თავიანთი წვლილი არ დაიშურეს და მას გაჭირვებულ მდგომარეობაში დახმარება და შვება აღმოუჩინეს“. იმედიაო, დასძენს უცერემონიოდ წერილის დამწერი, რომ „ამ კეთილ მაგალითს სხვებიც მიჰბაძავენ და სწავლის დროს სიღარიბეში მყოფს შემწეობას მიამცემენო“. ერთის სიტყვით, ასეთი თხოვნა ჩვენში სრულებით სასირცხოდ და საძრახისად არ ითვლება. ამ გვარი შემეცნება გავრცელებულია ჩვენს სტუდენტობაში და ასეთივე წარმოდგენა ფეხგადგმულია თითქმის საზოგადოებაშიც. სტუდენტს უფლება აქვს ითხოვოს, ხოლო საზოგადოებას ვალდებულება აწევს აძლიოს. ჩვენ გვინდა დღეს ამ შემეცნებას ფესვები გავუსინჯოთ და საგნის გასარკვევად შემდეგი კითხვა წამოვაყენოთ: რა მოტივითა და რა საფუძვლით? გვინდა მოკლედ და გაკვრით აღვნიშნოთ, თუ რა მოტივით შეუძლია სტუდენტს თხოვნის დროს იხელმძღვანელოს და რა საფუძვლით შეუძლია მას საზოგადოებას მიჰმართოს და დახმარება სთხოვოს.

ყველას, ვისაც გამოუცდია, ეცოდინება, თუ რა ძნელი მდგომარეობაა, როცა ადამიანი გრძნობს, რომ იგი გარეშე პირისგან დავალებულია. სხვისგან დავალება მძიმე ლოდივით დააწვება ხოლმე მგრძნობიარე ადამიანს და არ მისცემს სიმშვიდეს და მოსვენებას. იგი ვერ მოისვენებს, სანამ ამ ვალს ამა თუ იმ სახით არ გაასწორებს და დავალებისაგან თავს არ გაითავისუფლებს. ეს ისეთი გრძნობაა, რომელიც უნდა იყოს ყველასი ნაცნობი და გამონაცადიც. თუ ვინმემ პატივი გცათ, მაგალითად, ვთქვათ, დაგპატიჟათ და გაგიმასპინძლდათ, თქვენც, უეჭველია, თქვენის მხრით თავის თავს მოვალედ გახდით შემთხვევის დროს იმ კაცს ვალი გადაუხადოთ და ასე თუ ისე სამაგიერო პატივი სცეთ. ასეა ეს ყოველგვარ დავალების დროს და ასევე უნდა იყოს მაშინაც, როცა ახალგაზდა კაცი ხელს აწვდის და სწავლის დროს სხვისი შემწეობით სარგებლობს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არის ზნეობრივ სილატაკის წარმომადგენელი მათხოვარა, რომელსაც არ მოეპოვება ადამიანური თავმოყვარეობა და კაცურ ღირსების შემეცნება. სხვისთვის შემწეობისა და დახმარებისათვის მიმართვა, ისე რომ არ იგრძნოს და არ შეიგნოს სამაგიერო მოვალეობა, შეუძლია მხოლოდ ისეთ კაცს, რომელიც არაფრად აფასებს თავის ადამიანობას და პირად ღირსებას. ეს ნიშნავს ზნეობრივ სიმდაბლეს და განუვითარებლობას, რომელიც უარ-საყოფელია ყველგან და ყველასაგან.

უნდა გამოვტყდე, მე დიდი ეჭვი მაქვს,—ჩვენ, ახალგაზდობა, ამგვარ ზნეობის თავჩაბერდ გზაზე ხომ არ ვდგევართ და დაბლობისკენ ხომ არ მივექანებით მეთქი... ჩვენ, მოსწავლე-ახალგაზდობისაგან თხოვნა და დახმარების ძებნა ისე ხშირი მოვლენაა, ხოლო მოვალეობის გახსენება ისე იშვიათი ამბავია, რომ კაცს მართლა ეჭვი შეეპარებოდა შავი ფიქრები აღეძრება...

რასაკვირველია, მოსწავლესთვის შემწეობის მიმცემი იშვიათად ჰფიქრობს და მოელის, რომ იგი ვალს პირადად უკან დაუბრუნებს და ოქროს ოქროთი გადაუხდის. იგი ეწევა და ეხმარება, რადგან მოელის, რომ ამით განათლებული და შეგნებული კაცი შეემატება ჩვენს საზოგადოებას და ამ განათლებულის საშუალებით—მეტი გონებრივი ძალა და კულტურული ღონე ჩვენს ხალხს. იგი ხელმძღვანელობს ალტრუისტულის გრძნობით და საზოგადოებრივის პრინციპით და მოელის ამგვარსავე გრძნობასა და პრინციპს დავალებულისგანაც. ყოველი წევრი საზოგადოებისა ზნეობრივად ვალდებულია ხელი შეუწყოს საზოგადოების წარმატებასა და წინმსვლელობას; მაშასადამე, იგი ვალდებულია დაეხმაროს ხელმოკლე მოსწავლე ახალგაზდასაც, მხოლოდ არა ყოველს, არამედ ისეთს, რომელიც, მოლოდინით მაინც, მომუშავე და დამხმარე იქნება ამგვარ წარმატებისა. და, თქმა არ უნდა, თითეულ მოსწავლეს და უფრო კიდევ იმას, რომელიც სარგებლობს სხვისი შემწეობით, შეგნებული და გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს ის ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელსაც ავალებს მას ამგვარი სარგებლობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს მას საპატიო მოტივი და საფუძველი მიჰმართოს საზოგადოებას და მოსთხოვოს როგორც ზნეობრივი თანაგრძნობა, ისე ნივთიერი შეწევნა და დახმარება.

სამწუხაროდ, ჩვენი ახალგაზდობა უფრო მარდი და ხალისიანია თხოვნაზე, ვიდრე მუშაობასა და მოვალეობის შესრულებაზე. იშვიათად შეხვდებით ისეთებს, რომლებიც საზოგადოების ყურადღებასა და დახმარებას შეგნებულად უცქეროდნენ და ზნეობრივ მოვალეობის საქმეში მოსალოდნელ თვითცნობიერებას იჩენდნენ. ამის დამამტკიცებელი მაგალითები ჩვენ მრავალთ მრავალი ვიცით, მაგრამ ვიკმაროთ ეს ერთად ერთიც. ყოველ საუნივერსიტეტო ქალაქიდან სტუდენტები უფასოდ თხოულობენ რედაქციებისგან ჟურნალებსა და გაზეთებს. ვთქვათ, წესია, რომ, თუ ცოტათი მოხერხება აქვს, ქართულმა რედაქციამ მუქთად ან მცირე ფასით დაუთმოს ღარიბ სტუდენტებს თავისი გაზეთი. მაგრამ მეორე მხრით ისიც წესია, მგონი, რომ სტუდენტობაც დაეხმაროს გაზეთს იმით, რაც მას შეუძლია და რაზედაც ხელი მიუწვდება. როგორც მოგეხსენებათ, გაზეთი ის ნაბეჭდი ქაღალდია, რომელიც შეიცავს ახალ ამბებსა და მიმდინარე ცხოვრების სხვა-

---

*) იხ. „ცნ. ფურც“. № 2476.

„მის აღმატებულებას ადმირალ **ტოგოს**, პორტ-არტურს, ლეო ხერდანისაგან, ბრიუნიდან—ავსტრია-მორავია. ფერდინანდის ქუჩა, 25.

თქვენო აღმატებულებავ!

მტკიცედა ვარ დარწმუნებული, რომ იაპონიის ძლევა-მოსილი ფლოტი ამ წერილის მიღებამდე პორტ-არტურიდან რუსებს სულ მთლად გაჰრეკავს. გულ-წრფელად მსურს, რომ თქვენს ფლოტს გმირობა და გამარჯვება არ მოეშალოს და ღმერთსა ვსთხოვ, რომ მტერი მალე დაამარცხოთ.

თქვენი პატივისმცემელი ლეო ხერდანი.
15 მარტი, 1904 წ“.

გენ.-ლეიტ. სტესელმა ეს წერილი „ნოვი კრაი“-ს გაუგზავნა დასაბეჭდად და თან შემდეგი მისწერა რედაქციას:

„გთხოვთ, ეს წერილი „ნოვი კრაი“-ში დაჰბეჭდოთ. დაე, ყველამ გაიგოს, რა სწორე ცნობები მისდით უცხოელებს. ამ ვილაცა ხერდანს, ალბად, საიდანღაც მიუღია ასეთი სულელური ადრესი და, როგორც დიდის ჰკუს პატრონს, დაუჯერებია კიდევაც. გენ.-ლეიტ. სტესელი“. („რ. ს.“).

ახალი ამბავი

◆ პეტერბურგის გაზეთებში დაბეჭდილია სია იმ აფიცერთა, რომელნიც მოკლულ და დაჭრილ იქმნენ მდ. იალუზე მომხდარ ბრძოლების დროს; დაბეჭდილია აგრეთვე სია იმ აფიცერთა, რომელნიც ბრძოლის ველზე დარჩნენ (მოკლული თუ დაჭრილი, ჯერ არ იციან). უკანასკნელთა შორის არის ერთი ჩვენი მემამულეც: აღმოსავლეთ-ციმბირის მე-12 პოლკის პოდპორუჩიკი **თავ. ვახვახიშვილი.**

◆ **ერევანი.** 25 აპრილს ერევნის ქართველობა შეიკრიბა პოლტავის პირველ პოლკის ეკკლესიაში, სადაც წირვის შემდეგ დეკანოზმა იორდანაშვილმა გადაიხადა პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის ლადო აღნიაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის წინ მამა დეკანოზმა წარმოსთქვა მცირე სიტყვა და გააცნო დამსწრეთ განსვენებულის პირადობა, მოღვაწეობა და მნიშვნელობა.

◆ მაისის პირველ რიცხვებში მოხდება კრება ტფილისის საურთიერთო **საკრედიტო საზოგადოებისა.** კრებამ უნდა ამოარჩიოს საზოგადოების თავმჯდომარე განსვენებულ ა. ა. იოანნესიანის ნაცვლად. ერთი წრე წევრებისა თავმჯდომარედ ასახელებს დირექტორს თავ. გ. მ. თუმანოვს, ხოლო მეორე—ადელხანოვს.

◆ შარშან **საქონლის ჭირი** იმდენად მძვინვარებდა კავკასიაში, რომ დახოცილ საქონლის პატრონთა დასაჯილდოვებლად და ჭირთან საბრძოლველად გადადებული თანხა არ ეყო. წელს მთავრობამ გადასდო 750 ათასი მანეთი. აქედან 550 ათასი მანეთი უნდა მოხმარდეს შარშან დახოცილ საქონლის პატრონთა დაჯილდოვებას და ამავე წელს გაწეულ სხვა ხარჯის გასტუმრებას.

◆ **უფასო და იაფ-ფასიან სასადილოების** და საჩაიების კომიტეტს აზრადა აქვს 14 მაისს ტფილისის საკრებულოს საზაფხულო სადგომში სახალხო სეირნობა გამართოს.

◆ 29 აპრილს მოხდა **ტფილისის მოქალაქეთა** საზოგადოების რწმუნებულების კრება. კრებამ განიხილა გუბერნატორის მოწერილობა გადასახადების მოკრების შესახებ. მოწერილობაში აღნიშნულია, რომ გადასახადების მომკრებნი რიგიანად არ ასრულებენ თავიანთ საქმეს და თუ განმეორდა ასეთი დაუდევრობა, პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი მოურავი და ხარჯის ამკრებნიო. კრებამ მერე განიხილა მოხსენება იმის შესახებ, რომ მამასახლისის მოადგილეს ს. ა. დანდუროვს ჯამაგირი დაენიშნოს. კრებამ ამ საქმის განხილვა შემდეგ დროისათვის გადასდო. დასასრულ 40 წვრილმანი საქმე გაარჩია კრებამ.

◆ გუშინ, 30 აპრილს, კონსულის ქუჩაზე აკურთხეს ცეცხლის **მქრობელთა რაზმის ახალი სახლი.** სახლი სამ სართულიანია და დაჯდა 60,000 მანეთად. კურთხევას დაესწრნენ გუბერნატორი, ვიც-გუბერნატორი, ქალაქის თავის მოადგილე თავ. ჩერქეზიშვილი, გამგეობის წევრნი, ხმოსნები, პოლიცმეისტერი და სხვანი.

◆ დღეს, 1 მაისს, გუბერნიის ექიმის თანაშემწე მაჭავარიანი გაემგზავრება **მანგლისს და მის ახლო-მახლო** მდებარე სოფლებში. მანგლისსა და თონეთში ბ-ნი მაჭავარიანი დაათვალიერებს საავარაკო ადგილებს, ხოლო დანარჩენ სოფლებში მიიღებს ზომებს რაღაც ახლად გაჩენილ სენის მოსასპობლად.

◆ საქართველოს საექსარხოსო **სამრევლო სკოლების** ზედამხედველების კრება დასრულდება დღეს, 1 მაისს.

◆ ტფილისის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგეობამ ნება დართო, ზაქათალის ოლქში ხევებისა და მდინარეების გასამაგრებლად სახელმწიფო ტყეებიდან გაიტანონ 5,000 საჟენი წნელი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, აეკრძალოთ მოიჯარადრეთ თავიანთ უფლებათა გადაცემა სხვაზე.

◆ ამას წინად სადღაც გადაკარგულ ტფილისის ქალაქის გამგეობის ბუხჰალტერის შალამიანცის გვამი იპოვნეს მტკვრის პირად სოლანლუღში.

შეცდომის გასწორება: ხუთშაბათის ნომერში დაბეჭდილი წერილი ი. გოგებაშვილისა ასე თავდება: „ეს საუზმედ იმყოფინონ ჩემმა მოწინაალმდეგეებმა და სადილიც თავის დროზე მიერთმევათ“. უნდა ყოფილიყო: „ეს საუზმოდ იმყოფინოს ჩემმა მოწინაალმდეგემა და სადილიც თავისს დროზე მიერთმევა“.

შემოწირულება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შესწირეს:

ვახტანგ როსტომაშვილმა—40 კ., ივანოვისამ—20 კ., მარომ—5 კ., მღ. ალექსი თევზაძემ—3 მ., მღ. ოსიპ ტერპეტროსიანცმა—1 მ., სკვიდაროვისამ—1 მ., მ. ნარაძემ—1 მ., ანნა ქარუმიძისამ 2 ხილის ვაზა და ექვსი ცხვირსახოცი, ევა კობახიძისამ—50 კ., ივანე ახალ.—50 კ., ტერეზია ხმიადოვისამ ორი ხელოვნურად ნაკერი პორთფელი და ბალიში, ანნა არდაზიანმა—3 მ., გეორგი არდაზიანმა—2 მ., ბარბარე არდაზიანმა—2 მ., ანნა ტუსიევისამ—50 კ., მარგარიტა არდაზიანმა—2 მ., ვასილ მთავრიშვილმა—1 მ., მართა მალხაზოვისამ—1 მ., მარიამ შაყულაშვილმა—1 მ., ნინო სალიკაშვილმა ერთი ლამფის ძირი, ეკატერინე ქობულაშვილმა მოქსოვილი სალფეტკი, ილია ალხაზიშვილმა ქართველ ფარმაცევტთა ამხანაგობიდან 25 მანათის სხვადა სხვა დუხი, საპნები, პუდრი, კოლდკრემი, ოდეკოლონი და სხვა., ნაზარბეგოვის მაღაზიამ ოთხი სარდინკა და შოკოლადები, ანნა სტეფანეს ასულმა ისარლიშვილმა 10 ვერცხლის სამარილე, მარიამ ბექანის ასულმა ლაზარაშვილისამ ორი ვერცხლის ჩანგალი, ნინო ნიკოლაშვილმა ერთი სამურის საყელო და ერთი მუფთა, ნინო ნიკოლაშვილისამ ოთხი სხვა-და-სხვა ნივთი, მარიამ იმნაძისამ ორი ნაკერი სამუთაქე, მარიამ ბექანიშვილისამ ერთი კოლოფი ფოსტის ქაღალდი, მარიამ ალხაზიშვილისამ ორი ბრონზის სურათი და ერთი სასუხრე, სოფიო დემუროვმა სამი არშინი ქიშმირი, მარიამ გაბაშვილისამ—5 მ., უცნობმა—2 მ., ნინო თაყაიშვილისამ სალიკორე მოწყობილობა ფრაჟესი, კნ. მაყაშვილისამ—5 მ., ი. თარხანიშვილისამ—3 მ., უცნობმა—1 მ., თავ. მაყაშვილმა—1 მ. 50 კ., ვ. ფარესაშვილმა—1 მ., კორინთელმა—1 მ., კ. ნასიძემ—1 მ., ბ. ცაგარელისამ—1 მ., კონსტანტინე ჩერქეზიშვილმა—3 მ., №№—1 მ., ილია ზურაბიშვილმა—1 მ., ა. პავლიაშვილმა—1 მ. ელენე ანტონოვსკისამ—1 მ., კ. ჯორჯაძემ—2., თავ. ილ. ჩერქეზოვმა—2 მ., თავ. გიორ. ციციშვილმა—2 მ., ლ. ფურცელაძემ—2 მ., კ. სვიმონოვმა—2 მ., ი. მარკოზოვმა—1 მ., შ. მაღალაშვილმა—1 მ., ლევან კობიაშვილმა—1 მ., კ. გარაყანიძემ—1 მ., გ. კლიმიაშვილმა—1 მ., გრიგუროვის და ამირაღოვის მაღაზიამ ოთხი ნაჭერი ჩითი, კაპკაპოვმა ჩითი თორმეტი არშინი, სარიევმა და ანანოვმა ორი რედიკული, სამი სავარცხელი, ერთი წყვილი ხელთათმანი, ორი ყელ-სახვევი და სამი ქამარი.

ტფილისის ქალაქის საბჭო

29 აპრილი

პირველად საბჭომ მოისმინა მოხსენება კომისიისა საქონლისა და ნივთების მზიდავ დროგებსა და ტაჰკებსა და ეტლებზე ნიხრის დაწესების შესახებ. კომისიამ ქალაქი ამისათვის სამს რაიონებად გაუყო. თითო რაიონში ცალკე ფასია დადებული ეტლებისა და დროგებისათვის და ერთი რაიონიდან მეორეში სხვა ფასები. თითო რაიონში ეტლით ერთი ადგილიდან მეორეში მისასვლელად ეღირება 30 კ., საათში 60 კაპ. ხოლო ერთი რაიონიდან მეორეში 40 კაპ. საათში 70 კაპ. შეშის მზიდავ დროგებზე ერთ საჟენის შეშის გადასატანად 15 მარტიდან 15 ოქტომბრამდე პირველ რაიონში დაწესდა 3 მან. 5 კაპ. მე-2 რაიონში—5 მ. და მესამე რაიონში—6 მან. 50 კაპ., ხოლო 15 ოქტომბრიდან 15 მარტამდე პირველ რაიონში—2 მან 50 კაპ., 2-ში—4 მან. და მესამე რაიონში 5 მან. 50 კაპ. კომისიის მოხსენება საბჭომ უცვლელად მიიღო. კამათი გამოიწვია კომისიის დადგენილებამ საელექტრონო სადგურისათვის ადგილის არჩევნის შესახებ. საბჭომ დაადგინა, გადაეცეს ეს საქმე ხმოსან-ტეხნიკოსთა კრებულს თავის აზრის გამოსათქმელად. ზოგიერთ დაწესებულებას ქალაქი შეღავათიან ფასად უთმობს წყალს. ამ საქმის გამო არჩეულ კომისიის აზრით, სრულიად უნდა მოისპოს შეღავათიანის ტარიფით წყლის მიცემა დაწესებულებათათვის. საბჭომ დაადგინა, ვადის შემდეგ ყველა დაწესებულებას მოესპოს შეღავათიან ფისად წყლის ძლევა. შემდეგ საბჭომ დაამტკიცა გამგეობის დადგენილება 25,000 მანეთის გადადების შესახებ ავჭალაში წყლის მილის საჭიროებისთვის თავ. დ. გურამიშვილის ადგილის შესაძენად. საბჭომ დაამტკიცა აგრეთვე პროექტი სატრაქტირო მრეწველობისათვის სავალდებულო დადგენილებათა.

შემდეგ საბჭომ მოისმინა განცხადება ხმ. ბალდასაროვისა გამგეობის ყოფილ გადამწერის სტავცევის შესახებ. სტავცევი თხოვნების მაღების დროს აძრობდა მარკებს; ხშირად კერძო მთხოვნელებს ვითომდა მარკებისათვის ფულს ახდევინებდა და სხვა. გამგეობას დაუდგენია, პასუხის გებაში მისცეს სტავცევი. საბჭომ მიიღო ეს დადგენილება.

დასასრულ კამათი გამოიწვია თავ. ნ. ვ. არგუთინსკის მოხსენებამ. სასამართლოს სტოლის მდგომარეობის შესახებ. ეს განყოფილება ძალიან აწეწილ-დაწეწილია თურმე. დიდხანს ილაპარაკა თავ. ნ. ვ. არგუთინსკიმ. სხვათა შორის სთქვა, რომ იურისკონსულტი ნაკლებ ყურადღებას აქცევს საქმეს. ამის გამო მრავალი სხვა პირნი ისაკუთრებენ ქალაქის მიწებსაო. ილაპარაკეს და საყვედური გამოსთქვეს აგრეთვე ხმ. დოლუხანოვმა, ხატისოვმა, ევანგულოვმა და სხვებმა. ხმოს. ა. ბაბოვი ვრცლად შეეხო ამ საქმეს და აღელვებულის კილოთი ქალაქის გამგეობის წევრებს უსაყვედურა, არაფერს ყურადღებას არ აქცევენო. ეგრე საქმის წაყვანა არ შეიძლება: თუ საზოგადო მოღვაწეობა სურთ გამგეობის წევრთ, საქმეც უნდა უყვარდეთ; გამგეობის წევრნი სამსახურში 11—12 საათზე მოდიან და მუშაობენ გამგეობაში 2 საათსაო. გამგეობის ოქმისადმი გულცივად მოკიდება საბაბს აძლევს გამგეობის მოხელეებს გული აიცრუონ საქმეზეო. საბჭომ დაადგინა, გამგეობამ შეიმუშაოს და წარუდგინოს მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაკეთდეს საიურისკონსულტო ნაწილი.

რუსეთის ქრონიკა

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტრო შეუდგა წესების პროექტის განხილვას, რომელნიც უნდა დაცულ იქნან სამეურნეო მუშაობის დროს უბედურ შემთხვევათა ასაცდენად. მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა გადასწყვიტა, შემოიღოს უმაღლეს, საშუალო და შეძ-

---

და-სხვა ცნობებს. იგი ეხება როგორც ადგილობრივს, ისე უცხოეთის ცხოვრებასაც. ჩვენი სტუდენტები სატახტო ქალაქებში იმყოფებიან, სადაც მთელი რუსეთის კულტურულ ცხოვრების მთავარი ძარღვი სცემს. მთელი წელიწადი გაივლის ისე, რომ ამ სატახტო ქალაქებიდან ერთი კორესპონდენცია, ერთი სტუდენტის ხელით დაწერილი პატარა შენიშვნა არ მოვა, რომელიც იქაურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მდგომარეობას შეეხებოდეს. შარშან მოსკოვში დასდგეს პირველად თავ. სუმბათაშვილის ახალი პიესა „ღალატი“. მთელი რუსეთის პრესსა იმ ხანებში ამ პიესასა და მის წარმოდგენაზე ლაპარაკობდა. მოსკოვში არ გამოდგა არც ერთი ქართველი ახალგაზდა, რომელსაც თავისი შთაბეჭდილება მოკლედ აეწერა და იქაურ არტისტების თამაში და თვით პიესის შინაარსი ქართველ მკითხველისათვის გაეგებინებია.

სტუდენტს, რომელიც მეცნიერებას უხის და სწავლობს, საწერად არ სცალიაო, იტყვის ვინმე მათგანი. ნურც ასე გაგვაბავშვებენ! ჩვენი სტუდენტები ჩინეთში არ გვყავან გაგზავნილი და იქაურ მანდარინებთან მიბარებული, რომ მათ ვერ ვწვდებოდეთ და ვერ ვიცნობდეთ. აბა რა დიდი მოცლა და შრომა უნდა ამას, რომ კაცმა დრო-გამოშვებით რომელიმე საჯარო ლექციის შინაარსი დასწეროს, ან ამა თუ იმ სამეცნიერო საზოგადოების სხდომაზე ნალაპარაკევი ანუსხოს და ქართულ გაზეთს გამოუგზავნოს. ამით იგი წერასაც შეეჩვევა და აზრის დალაგებულად გამოთქმასაც. მოუცლელობა და „მეცნიერება“ მხოლოდ სიტყვის მასალაა და სხვა არაფერი. სტუდენტობა არავის არ აძლევს მუქთაობისა და ზარმაცობის პრივილეგიას. თუ სტუდენტი ფულით იკმაყოფილებს თამბაქოს მოწევისა და ღვინის სმის მოთხოვნილებას, მას შეუძლია მცირე და სასიამოვნო შრომით მოახერხოს კულტურულ მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

მაგრამ იგი აქაც. ამ მცირე საქმეშიაც, თხოვნას რჩეობს, ვიდრე გარჯას და სხვისი დავალებისაგან თავისუფლებას. საზოგადოდ ჩვენ ყველანი ახალგაზდობიდანვე ვეჩვევით მათხოვრობას და ვერ ვითვისებთ მოვალეობის შემეცნებას და სავალდებულო საქმიანობას. შარშან შემთხვევა მქონდა ერთი ასეთი მათხოვარა სტუდენტი მენახა. დადიოდა და ნაცნობებს ეხვეწებოდა, რომ მის სასარგებლოდ წარმოდგენა გაემართათ. სტუდენტი მართლა ლამაზი და წამოსადეგი ვაჟკაცი იყო. დატრიალდნენ ლამაზი ქალები და გაუმართეს სპექტაკლი. ბ-ნ სტუდენტს წარმოდგენის დროს ხელში ვერცხლის მათრახი ეჭირა და დრაგუნის აფიცრივით ბარძაყებზე იცემდა. ჩააბარეს შემოსავალი, მაგრამ მეორე-მესამე დღეს ის ისევ იმავე დაბაში იყო და შემწეობას თხოულობდა. სპექტაკლის შემოსავალი იმ ღამესვე დახარჯა მან სამიკიტნოში და დარჩა წინანდებურად მარტო მათრახის ანაბარად ცარიელ-ტარიელი. და განა ასეთი კაცი, ცხოვრებაში გამოსული, იხელმძღვანელებს რაიმე საზოგადოებრივი პრინციპებითა და იდეებით, საცა მას ჯერ ეს მარტივი ცნება ვერ შეუთვისებია,—რომ უნამუსობაა იმ ფულის სამიკიტნოში გაფლანგვა, რომელიც მან გლახაკსავით ითხოვა და თითო გროშობით მოაგროვა?

ეს წერილი თავიდან იმიტომ დავიწყეთ ასეთი მაგალითებით, რომ მკითხველისათვის შემდეგ გარემოებაზე მიგვეთითებია: ჩვენს ახალგაზდობაში ძალიან სუსტობს ზნეობრივი მოვალეობის შეგნება. სტუდენტი, საკუთარის ხარჯით იზრდება ის თუ საზოგადოების დახმარებით, ვალდებულია თავის მერმისს შეგნებულად მოეკიდოს და საზოგადოებაში მოქმედებისათვის შესაფერად მოემზადოს. იგი უნდა ცდილობდეს არა მარტო დიპლომის მიღებას, არამედ ცოდნის შეძენას და საფუძვლიანად მომზადებას. კურსიდან კურსზე გადასასვლელად საკმარისია სამიოდე კვირის მეცადინეობა; სერიოზულ ცოდნის შესაძენად კი საჭიროა ხანგრძლივი და გამუდმებული მუშაობა. ჩვენში, საცა ასეთი უვიცობა და გონებრივი მძინარობაა გამეფებული, გვესაჭიროება ხალხი, აღჭურვილი ცოდნითა და ენერგიით, რომელიც იწყებს მოქმედებას და გონებრივ სიცოცხლესა და სიფხიზლეს ჩაჰბერავს ჩვენს მოდუნებულ ცხოვრებას. სხვა-და-სხვა საზოგადო ასპარეზზე შრომა და მოქმედება ის იდეალია, რომელსაც ხშირად უნდა იგონებდეს და განუყრელად ითვისებდეს ჩვენი სტუდენტობა. ცოდნის შეძენა და საზოგადოებრივ ინსტიქტების შეთვისება—აი სტუდენტობის მოვალეობა და მათი საუნივერსიტეტო დანიშნულება.

როგორც ამ იდეალის შეთვისების მხრით, ისე სერიოზულ საქმიანობის ჩვეულებით ძალიან მდარე და ჩამორჩენილია ეხლანდელი სტუდენტობა. როგორც წინა წერილში მოვიხსენიეთ, მათში მეტად გავრცელებულა მჩატე გართობა და უმიზნო უსაქმურობა. იშვიათ მოვლენას შეადგენენ თურმე ისეთი სტუდენტები, რომლებიც სერიოზულ მუშაობას ეწევოდნენ და ცხოვრებაში სამოქმედოდ შეგნებულად ემზადებოდნენ.

ქართველი სტუდენტობა შორეულს მხარეში სწავლობს და იგი დროებით მოცილებულია ადგილობრივს ცხოვრებასა და ნიადაგს. ამიტომ მათზე გავლენას ვერ იქონიებს ადგილობრივი შეგნებულ პირთა წრე და საზოგადოება. ისევ სტუდენტებისავე წრეში უნდა შეეცადნენ სტუდენტობის ნაკლის გასწორებას და მიმართულების გაუმჯობესებას. უეჭველია, სტუდენტობაში თითო-ოროლა მოიპოვებიან ისეთნი, რომელნიც ბეჯითად მუშაობენ და ეწევიან შინაარსიან ცხოვრებას. და ამ შეგნებულთა მოვალეობაა გავლენა იქონიონ ამხანაგებზე და შეაჩვიონ ისინი შრომასა და შეგნებულ მეცადინეობას. ამხანაგების წრეს ყოველთვის დიდი გავლენა აქვს მოსწავლე ახალგაზდობაზე. წრის მისწრაფება და მიმართულება უნებურად ითრევს და მომხრედ იხდის ისეთებსაც, რომლებიც წინედ განცალკევებულად იდვნენ და ყოველგვარ იდეურ და პრინციპიან საქმიანობას გაურბოდნენ. აზრიან წრეების შედგენა, საერთო კითხვა და მსჯელობა, ამხანაგებთან ახლო და მჭიდრო დამოკიდებულების გამართვა, ურთიერთ შორის ზნეობრივ კონტროლის დადგენა და იდეურ ზედგავლენის გამტკიცება—აი რა უნდა დავავალოთ ჩვენ შეგნებულ და მოსაქმე ნაწილს ქართველ სტუდენტობისას. თუ ისინი ამ გვარის მეცადინეობით შესძლებენ ასწიონ და აამაღლონ ეხლანდელ სტუდენტობის გონება-ზნეობრივი დონე,—დიდს სამსახურს გაუწევენ ქართველ საზოგადოებას და დიდად ხელს შეუწყობენ ჩვენს კულტურულ წარმატებასა და განვითარებას. ჩვენს ინტელიგენციას მხოლოდ მაშინ დაეტყობა ენერგია და საქმიანობა, როცა იგი ამ თვისებებს სასწავლებელში ყოფნის დროს შეიძენს და შეისისხლ-ხორცებს.

ფ. გოგიჩაიშვილი

ლებისადაგვარად დაბალ სამეურნეო სასწავლებლებშიაც იმის სწავლება, თუ რანაირი პირველი დახმარება უნდა აღმოუჩინონ სამეურნეო მანქანებით მუშაობის დროს დაშავებულ მუშებს.

◆ მთავრობამ დაამტკიცა მოსკოვში შემდგარ მკურნალთა საზოგადოების წესდება. ეს საზოგადოება ჭლექთან საბრძოლველად არის დაარსებული მოსკოვის გამოჩენილ ექიმთა თაოსნობით.

სასამართლო

მღვდლის მოკვლა

(წერილი თელავიდან)

6 აგვისტოს 1903 წელს, საღამოთი, სოფ. ურიათუბნის მღვდელი იროდიონ ჩეკურიშვილი თავის სახლის აივანის ტახტზე ყოფილა წამოწოლილი. ამ საღამოს სახლში ცოლს გარდა მარტო ერთი მოსამსახურე ყოფილა, რომელიც წისქვილიდან დაბრუნებულა და იქვე ახლოს ბეღელთან დასძინებია. ასე საღამოს 9 საათზე მღვდელს თავს დაჰსხმია რამდენიმე თოფით და რევოლვერ.ით შეიარაღებული ავაზაკი. ერთი ოთახში შევარდნილა, სადაც ფოფოდია ყოფილა, წაუქცევია ფილაქანზე და უბრძანებია, გაჩუმდიო, თანაც რევოლვერი დაუბჯენია გულზე. შეშინებულ ფოფოდიას დაუწყია ყვირილი და ძალიანობა. ამ დროს სხვა ბოროტ-მოქმედნი მივარდნიან ტახტზე მწოლარე მღვდელს და ორჯელ უსროლიათ: ერთი ტყვია მუცელში მოჰხვედრია, მეორე მხრის ძირში. მერე გამოსულან გარედ, დაუწყიათ თოფების სროლა და წასულან. ფოფოდია მაშინვე გარედ გავარდნილა მღვდელთან, რომელიც ტახტზე აღარ დაჰხვედრია—დაბლა ფილაქანზე წოლილა დაჭრილი. მღვდელი ჩეკურიშვილი იმავე ღამეს, ორის საათის შემდეგ გარდაცვლილა. მარტო ის უთქვამს, რომ ბოროტ-მოქმედნი ვერ ვიცანიო. მხოლოდ მღვდლის მეუღლეს, რადგან ოთახში ლამფა ნთებულა, ეცნო ის ბოროტ-მოქმედი, რომელმაც წააქცია. დაესახელებინა კიდეც ურიათუბნის მცხოვრები ივანე დათუნაშვილი. მოსამსახურე ბიჭსაც გახღვიძა, გაქცეულიყო, მაგრამ მკვლელნი უკვე წასულიყვნენ. თოფის ხმასა და ყვირილზე მეზობლები და ბევრი ხალხი შეკრებილიყო.

იმ საღამოთივე მოსამსახურეს იაშვილს ეზოში თუშური ქუდი ეპოვნა, ბოროტ-მოქმედთაგან დარჩენილი. მეორე დღეს ამ სოფლის რამდენსამე გლეხკაცს ურიათუბნის მცხოვრების კირილე რუსიშვილის ქუდათ ეცნოთ, რაც განეცხადებინათ კიდეც გამოძიების დროს ბოქაულისთვის. ბოქაულის განკარგულებით რუსიშვილი დაეტუსაღებინათ. როცა იგი მიეყვანათ თავზე სხვა ქუდი ჰხურებია, რომელიც წინად არ უხმარია. რუსიშვილს განუცხადებია, ეს ქუდი, რომელიც მხურავს, ჩემი ძმისწულისაა, ხოლო ჩემი ქუდი შინ დამრჩაო. გაუსინჯიათ იმისი სახლი, მაგრამ ქუდი არ აღმოჩენილა. შემდეგ იმათ, ვინც ქუდი რუსიშვილისათ იცნეს, გამომძიებელთან ჩვენება შეუცვლიათ და განუცხადებიათ, რომ ის ქუდი რუსიშვილის ქუდსა ჰგვავდაო. ამის გამო პასუხის გებაში მიუციათ სოფ. ურიათუბნის მცხოვრებნი ივანე დათუნაშვილი და კირილე რუსიშვილი, რომელთაც თავი დამნაშავედ არ უცვნიათ და განუცხადებიათ: პირველს, რომ იმ საღამოს შინ და მეზობლის ეზოში ვიყავი, სადაც ცხვარს ვეძებდიო და მღვდლის მოკვლა სხვებისგან გავიგეო, მოწმეებიც დაუსახელებია; ხოლო რუსიშვილს აუხსნია, რომ იმ საღამოს ველისციხიდან ორ კაცთან ერთად მოვედი მთვრალი, მთელი ღამე შინ ვიყავ და ჩემი ქუდი ჩემმა ძმისწულმა წაიღოო.

ეს საქმე ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ თელავში გაარჩია 27 აპრილს. დაბარებული იყო 10 მოწმე, სხვათა შორის, თვით მღვდის მეუღლეც. ბრალდებულთ იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე თავ. ი. ბარათაშვილი. მოწმეთა გარდა, რომელთაც ყველას ჩვენება ჩამოართვეს, ფოფოდიამ უამბო სასამართლოს თავდასხმის და მღვდლის მოკვლის ამბავი და დასძინა, ვაი თუ სული ტყუილად დავწყო, არა ვარ დარწმუნებული, რომ ის ავაზაკი, რომელმაც მე წამაქცია, ეს, დათუნაშვილი იყოს, მხოლოდ მაშინ მივამსგავსეო. სასამართლომ მცირე კამათის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ივანე დათუნაშვილი და კირილე რუსიშვილი გამართლებულ იქმნენ.

თეატრი

ქუთაისი. 25 აპრილს ვლ. ალექსი მესხიშვილის თაოსნობით წარმოდგენილ იქმნა თავ. სუმბათაშვილის პიესა „ღალატი“. წარმოდგენაში, ბ-ნ მესხიშვილს გარდა, მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი ალიხანოვისა, ნ. ჩხეიძისა და დავითიშვილის ასულნი, დ. მესხი და სცენის მოყვარენი. ამ დღეს ბ-ნი მესხიშვილი პირველად ვიხილეთ ოთარ-ბეგის როლში, რომელიც ისე მშვენივრად ითამაშა, როგორც სხვას არასოდეს არ უთამაშნია. ქ-ნი ალიხანოვი კარგი ზეინაბი იყო, მაგრამ კიდევ უკეთესი იქმნებოდა, რომ დედოფალური მიხვრა-მოხვრა არა ჰკლებოდა და ცოტათი ქართული არ აეჩიქორთულებინა. ქ-ნი ნ. ჩხეიძე რუქაიას როლს ისრულებდა. ქ-ნი დავითაშვილი ვერ იყო ისეთი გაიანე, როგორიც წინად გვინახავს: უგულოდ თამაშობდა. გვარიანი ბესო იყო ბ-ნი დ. მესხი. მაგრამ უფრო საინტერესო ჩვენთვის აქ სცენის მოყვარეთა თამაშია, რომელმაც საზოგადოდ კარგად ჩაიარა. სცენის მოყვარეთაგან კარგი იყო ანანია გლახას როლის მოთამაშე. მშვენიერი იყო წარმოდგენის გარეგანი მხარეც, ნამეტურ მეტეხის ციხის აფეთქება. წარმოდგენას იმდენი საზოგადოება ვერ დაესწრო, რამდენიც მოსალოდნელი იყო, რადგან ადგილების ფასები ორ ნახევარჯელ ჩვეულებრივზე მეტი იყო და ამას გარდა ამ დღეს ქალაქის ბაღშიაც სეირნობა იყო გამართული ებრაელთა სკოლის სასარგებლოდ. კარგი იქმნება, სცენის მოყვარენი ხელმეორედ გამართავდნენ ამ წარმოდგენას, მხოლოდ ბილეთების ფასები-კი ჩვეულებრივი უნდა დასტოვონ.

დონ-ვალიანი.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 აპრილი

პეტერბურგი. უმაღლესი ბძანება ფინანსთა მინისტრის სახელობაზე: „ომის დაწყების გამო, სახელმწიფო ხაზინის საშუალებათა გასაძლიერებლად ხაზინისა და სახელმწიფო ბანკის ოქროს თანხის გადიდებით, თანახმად თქვენგან მინისტრთა კომიტეტში წარმოდგენილ და განხილულ მოხსენებისა, კეთილად ვსცანით: შეუდგეთ მოკლე ვადიან გარეშე სახელმწიფო სესხის გამოცემას; ამის გამო გიბრძანებთ გამოსცეთ, თქვენ მიერ გამორკვეულ წესითა და თანდათანობით, 5 პროცენტიანი სესხი 300 მილიონ მანათისა, რაიცა უდრის 800 მილიონ ფრანკს, შემდეგის პირობებით: 1) ეს სესხი სახელმწიფო ვალის წიგნში ჩაიწერება და დაერქმევა „სახელმწიფო ხაზინის 5 პროცენტიანი ვალდებულება 1904 წლისა“: 2) ვალდებულება გამოიცემა უსახელო ქაღალდებით, ფასით 187 მან. 50 კაპ. რაიცა 500 ფრანკს უდრის, და 1875 მან. რაიცა 5 ათას ფრანკს უდრის; 3) ამ სავალდებულო ქაღალდების წლიურ სარგებელს შეადგენს 5 პროცენტი, რომელიც ყოველ ექვს თვეში გარდაიხდება. სარგებლის გამოთვლა დაიწყება 1904 წლის პირველ (14) მაისიდან; 4) პროცენტები გადახდილ იქნება რუსეთში მანეთებით, საფრანგეთში კი ფრანკებით, შემდეგის ანგარიშით: ერთი ფრანკი უდრის $37\frac{1}{2}$ კაპეიკს; პროცენტები გადაიხდება თქვენ მიერ დანიშნულ ადგილებში სავალდებულო ქაღალდების კუპონების წარდგენის შემდეგ; 5) სავალდებულო ქაღალდების პროცენტების და თანხის გადახდა—მუხლი მე-8—სამუდამოდ განთავისუფლებულია რუსეთში არსებულ ყოველგვარ გადასახადებისაგან; 6) კუპონებით ფულის გადახდა იქნება ათის წლის განმავლობაში მათი ვადის დაწყებისათანავე, სავალდებულო ქაღალდებით კი—30 წლის განმავლობაში მათ გამოსყიდვისათვის დანიშნულ ვადიდან; 7) თქვენ მიერ უნდა იქნას გამორკვეული სესხის გამოცემის დროს რა უფლებანი და უპირატესობანი მიეცემათ 1904 წლის 5—პროცენტიან სახელმწიფო ხაზინის გამოსაცემ სავალდებულო ქაღალდების მესაკუთრეთ გრძელ-ვადიან სახელმწიფო სესხის გამოცემის დროს, რომელიც შეიძლება 1909 წ. პირველ (14) მაისამდე იქნეს გამოცემული, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა მესაკუთრენი წარადგენენ სავალდებულო ქაღალდებსა და კუპონებს საბაჟო გარდასახადების გასასტუმრებლად, სახაზინო გირაოდ და სააქციზო გარდასახადების უზრუნველ საყოფელად; 8) 1909 წელს, 1 (14) მაისს ეს სავალდებულო ქაღალდები გამოსყიდული იქნებიან მათზე აღნიშნულ ფასად, აღნიშნულ ვადამდე კი ეს სესხი არ გამოისყიდება. ნამდვილზე მისის უდიდებულესობის ხელით აწერია „**ნიკოლოზ**“. ცარსკოე სელო 29 აპრილს 1904 წელს.

ლონდონი. („რეიტ. სააგ“.) იაპონიის საელჩომ ლონდონში მიიღო შემდეგი ოფიციალური დეპეშა: რუსეთთან ომის დაწყებიდანვე იაპონიის მთავრობა ბეჯითად თვალ-ყურს ადევნებდა ჩინეთის მთავრობის მოქმედებას ომის დროს. თუმცა ამ დრომდე არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ჩინეთი ნეიტრალიტეტს დაარღვევს, მაგრამ მაინც, გავრცელებულ ხმების გამო, იაპონიის მთავრობამ საჭიროდ სცნო, დაავალოს თავის წარმომადგენელს პეკინში, რათა მან მიჰმართოს ჩინეთის მთავრობას და აღნიშნოს მტკიცე ნეიტრალიტეტისა და მთელ იმპერიაში ყოველ ღონისძიებით მშვიდობიანობის დაცვის საჭიროება.

30 აპრილი

პეტერბურგი. დაჭრილთა კომიტეტის წევრს ვიცე-ადმირალს გირსს უმაღლესად ებოძა ალექსანდრე ნეველის ორდენი 50 წლის სამსახურის გამო.—დაინიშნენ: საზღვაო აკადემიის უფროსი და საზღვაო კადეტთა კორპუსის დირექტორი ვიცე-ადმირალი ჩუხნინი შავი ზღვის ფლოტისა და ნავთსადგურების უფროსად; არხანგელსკის გუბერნატორი კონტრ-ადმირალი რიმსკი-კორსაკოვი საზღვაო აკადემიის და საზღვაო კადეტთა კორპუსის უფროსად. ფლოტის პირველი დივიზიის უფროსი ფლაგმანი ზაკრიანსკი-კისელ—ნიკოლაევის ნავთ-სადგურის უფროსად და ქ. ნიკოლაევის გრადონაჩალნიკად; კონტრ-ადმირალი ენკვისტი—დიდ ოკეანეს მეორე ესკადრის უმცროს ფლაგმანად.—ხელმწიფე-იმპერატორმა ყოვლად უმოწყალესად უბოძა ობუხოვის ქარხნის გამგეობის თავმჯდომარეს ვიცე-ადმირალს ფონ ნანცუსს და საპატიო ოპეკუნს, გენერალ-ლეიტენანტს ზიბინს, თეთრი არწივის ორდენები 50 წლის სამსახურის გამო.

სტამბოლი. რუსეთი აწესებს ახალ საკონსულოს, რათა უკეთ ადევნოს თვალ-ყური ამბებს სომხეთში. დანიშნულია შირკოვი, რომელიც წავიდა ბითლისში.

ბასლავლი. კუმისით და წყლით წამლობის სეზონი სლავუტში გაიხსნება 15 მაისს.

გიანგცძე. ტიბეტელებმა, რომელთაც ეკავათ სიმაგრე დაახლოებით 1300 იარდის მანძილზე ინგლისის ბანაკიდან, გამოიტანეს რამდენიმე ზარბაზანი და რამდენიმე საათის განმავლობაში ესროდნენ ინგლისელებს კარტეჩს, რომელიც ინგლისელების ბანაკს უწევდა.

ლონდონი. დეპუტატთა პალატა. ერთ შეკითხვაზე ბროდრიკმა ახსნა, რომ უკანასკნელად ტიბეტში მომხდარ ამბების გამო, მთავრობამ გადასწყვიტა გაგზავნოს ექსპედიცია ლხასაში. გალაშქრება აუცილებელი იქნება, თუ ტიბეტელები არ გამოგზავნიან რწმუნებულს გიანგცეში მოსალაპარაკებლად. ინგლისის მთავრობამ მიანდო ინდოეთის მთავრობას შეატყობინოს ჩინეთის ამბანს, რომ თუ დანიშნულ ვადაზე მასთან ერთად არ გამოცხადდება გიანგცეში ტიბეტის შესაფერი რწმუნებული, ჩვენ მივიღებთ ღონისძიებას, რომ მოლაპარაკება სწარმოებდეს ლხასაში. ინგლისის მთავრობამ შეატყობინა ინდოეთისას, რომ მას არ შეუცვლია 1903 წლის 24 ოქტომბრის დეპეშაში გამოცხადებული პოლიტიკა. იღებენ ყოველ ღონისძიებას ექსპედიციის გზის უზრუნველ-საყოფელად.

ნიუ-იორკი. ილინოისში, ღერიის ქვა-ნახშირის მაღნებში აფეთქდა 50 ბოჩკა თოფის წამალი იმ დროს, როცა იქ 325 მუშა იყო; 6 გვამი გამოიტანეს; დანარჩენები, როგორც ჰფიქრობენ, მაღაროს ნანგრევებ-ქვეშ არიან დამარხულნი.—მანილიდან იტყობინებიან, რომ რამდენიმე ასი მკვიდრი კუნძულ მინდანაოსი თავს დაეცა საფრიდან მე-14-ე პოლკის პორუჩიკსა და 37 ჯარის კაცს. მოკლულია ორი აფიცერი და 15 ჯარის კაცი; 6 დაჭრილია.

ბელგრადი. აქაურ გაზეთების სიტყვით, მეფის გვირგვინის კურთხევა გადაიდო, რადგან ივნისამდე ვერ გააკეთებენ გვირგვინს, რომელიც მზადდება კარაგიორგის პირველ ზარბაზნის ბრინჯაოსაგან.

30 აპრილი.

ლონდონი („რეიტერის სააგ“.). ინგლისის ახლად დანიშნული ელჩი გარდინგი პეტერბურგს წავიდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

სასტუმრო იალტა ნომრებით

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქ. კუთხეში. სადილი ორი თავით, ჭიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 50 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 კ. სადილი სამი თავით, ჭიქა არაყით, $\frac{1}{2}$-ბოთ. ღვინით და ფინჯანი ყავით 75 კ. ღვინო ბოთლი 30 კ. და ძვირფასიც. თვიურათ იაფათ და ეძლევათ აბონიმენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ.

(88—52—33)

ფეხსაცმელი

ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,

აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
СОП
С.ПЕТЕРБУРГЪ

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი

რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის

სავაჭრო სახლის

„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.

ტელეფონი № 346.

ერევნის მოედანი. (60—6.—11)

Доз. ценз. Тифлисъ 30 Апрѣля 1904 г

ელექტრონის სტამბა, წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ის.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва).